258425

ხელშეკრულება

პაკეტი "სტანდარტი"

ქ.რუსთავი 09.03.2018

ერთი მხრივ, ააიპ **„გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი", მის.: ფიროსმანის #7 ტელ./საიდ. ნომერი: 258444**

შემდგომში "დამკვეთი", და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" (სიჯისი), შემდგომში "შემსრულებელი", მისი გენერალური დირექტორის, ნანა შარაშენიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. შემსრულებელი ახორციელებს დამკვეთის მომსახურებას ქვემოთმითითებული მომსახურების პირობების შესაბამისად.

1.2. მომსახურება გულისხმობს ინტერნეტ-პაკეტზე დამკვეთისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

1.3. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს დამკვეთი DSL-სერვისით, პაკეტი **"სტანდარტი".**

2. **მომსახურება**

მომსახურება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- კლასიფიკატორის CPV კოდი: 72400000
- ინტერნეტთან დაშვების სიჩქარე 6 მბ/წმ-მდე;
- საბონენტო გადასახადი თვეში - 39 ლარი; წლიური გადასახადი ჯამში 390 (სამას ოთხმოცდა ათი) ლარი
- 1 ცალი მოდემი და სპლიტერი, რომელიც დამკვეთს გადაეცემა დროებითი სარგებლობისთვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;
- დამკვეთისთვის 1 საფოსტო ყუთისა და 20 მბ მოცულობის ვებ-სივრცის ორგანიზება შემსრულებლის ქვედომენზე www.rustavinet.ge ან www.runet.ge, დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში.
- მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ერთი კვირისა.

3. **დამკვეთის უფლება-მოვალეობანი**

3.1. დამკვეთს უფლება აქვს, მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების შეუფერხებელი გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და დამკვეთის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

3.2. დამკვეთი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა.

3.3. დამკვეთი უფლებამოსილია ისარგებლოს ინტერნეტის შეჩერების სერვისით, წელიწადში არაუმეტეს 60 დღისა.

3.4. დამკვეთი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე დააბრუნოს ყველა ის მოწყობილობა, რომელიც მას გადაეცემა დროებით სარგებლობაში და რომლის გადაცემაც დარეგულირდება მიღება-ჩაბარების აქტით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაეკისრება აღნიშნული მოწყობილობების საფასურის გადახდა.

4. **შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი**

4.1 შემსრულებელი უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება თუ:

- მომსახურების მიწოდება შეუძლებელია ფორსმაჟორული გარემოებების გამო, მათ შორის, შემსრულებლის პარტნიორების მიერ შემსრულებლისათვის ინტერნეტ-მომსახურების (ინფორმაციის მიწოდების) შეწყვეტის შემთხვევაში;
- დამკვეთი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის, დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს;
- დამკვეთი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება.

4.2. შემსრულებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის, რაც დამკვეთს შეიძლება მიადგეს დამკვეთის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან დამკვეთის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან შემსრულებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით და თავად დამკვეთია პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემების დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისგან. შემსრულებელი ვალდებულია მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა მომხმარებლის დასაცავად, მომსახურებით გამოწვეული შესაძლო რისკისგან.

4.3. შემსრულებელი უწევს დამკვეთს მომსახურებას გარდა იმ პერიოდებისა, როცა წარმოებს პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები, რაც იგეგმება შემსრულებლის მიერ ისე, რომ მინიმალური უხერხულობა შეექმნას დამკვეთს.

4.4. შემსრულებელი არ იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების შედეგად მიღებული პროგრამული უზრუნველყოფა ან სხვა მასალები თავისუფალი იქნება ვირუსებისგან.

4.5. შემსრულებელი პასუხს არ აგებს დამკვეთის მიერ მიღებულ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე და დანაკარგებზე, რომელიც გამოიწვია მომსახურების გამოყენებისას დამკვეთის მიერ მიღებულმა ინფორმაციამ, სერვისმა ან პროდუქციამ.

4.6. დაზიანების აღმოფხვრა მოხდება ,,ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის მე-18 და 18 პრიმა მუხლებით დადგენილ ვადებში. დაზიანების აღმოფხვრის პირობები და ვადები (განსაზღვრულია დანართში); აბონენტთა პრეტენზია მიიღება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. აბონენტს განემარტება საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესი. პრეტენზია განიხილება 5 სამუშაო დღის ვადაში. აბონენტის მოთხოვნის შესაბამისად, პასუხის გაცემა ხდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

5. **საზღაური მომსახურებისთვის**

5.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ თანხას დღგ-ს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს მომსახურების საბონენტო გადასახადს კალენდარულ თვეში.

5.2. გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, წინასწარი გადახდის წესით, შ.პ.ს. "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" (სი-ჯი-სი-ს) გადახდის პუნქტებში.

5.3. დამკვეთი თანახმაა, მომსახურების გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, გაეთიშოს DSL-სერვისი და ტელეფონი, ამასთანავე, წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად გამოყენებული იქნება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება სატელეფონო მომსახურებაზე(ასეთის არსებობის შემთხვევაში). სერვისის მიწოდება აღდგება მხოლოდ დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ.

5.4. შემსრულებელი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს მომსახურების მიწოდება, თუ დამკვეთი არ იხდის ყოველთვიურად დადგენილ გადასახადს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს დამკვეთს.

5.5. შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ღირებულება, თუ ამის მიზეზი გახდა სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ გამოაცხადოს მისთვის ხელმისაწვდომი გზით. კორპორაცია იტოვებს უფლებას შეცვალოს ზემოთ აღნიშნული გადასახადები/ტარიფები, რომლებიც გამოწვეული იქნება თვითღირებულების ცვლილებისა ან/და იმ კომპანიების მიერ ახალი ტარიფების დაწესების გამო, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მომსახურება. აღნიშნული ცვლილებების შესახებ აბონენტი გაფრთხილებულ იქნება ავტომოპასუხის/მესიჯის საშუალებით ან შემსრულებლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების გზით. თუ აბონენტი ამგვარი ინფორმაციის მოწოდებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს ხელშეკრულების ახალ პირობებზე, (გააგრძელებს მომსახურების მიღებას), მას ხელშეკრულება გაუგრძელდება ახალი პირობებით და სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხარისთვის. თუ აბონენტი არ არის თანახმა ხელშეკრულების ახალ პირობებზე, იგი ვალდებულია წერილობით მოგვმართოს მომსახურების გაუქმების შესახებ.

5.6. ამ პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემსრულებელი უფლებამოსილია ლარის კურსის 10%-ზე მეტით ცვლილების შემთხვევაში შეცვალოს მომსახურების ღირებულება და ამის შესახებ წინასწარ გამოაცხადოს მისთვის ხელმისაწვდომი გზით.

სიჯისის მიზეზით მომსახურების მიუწოდებლობის (ან არასათანადო ხარისხით მიწოდების) შემთხვევაში, გადაანგარიშება მოხდება ფაქტიურად გაწეული ხარისხიანი მომსახურების ვადების მიხედვით.

6. მომსახურებით სარგებლობის წესები

6.1. მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია:

6.1.1 რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების მასიური გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემების და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნებისათვის;

6.1.2. ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა.

6.1.3. დამკვეთის მიერ შემსრულებლის მხრიდან მიწოდებული სტანდარტული სამომხმარებლო პაკეტით გათვალისწინებული ინტერნეტის მე-3 პირზე გადაყიდვა-რეალიზაცია.

7. ზოგადი პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.2. ორივე მხარე იტოვებს უფლებას გაწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

7.3. თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ერთმანეთს წერილობით არ აცნობებენ მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება ყოველი შემდგომი ერთწლიანი პროლონგაციით და იგივე პირობებით.

7.4. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები განახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას და დამკვეთი დაუბრუნებს შემსრულებელს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მოდემს და სპლიტერს.

7. 5. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ან დაცული იქნება 5.5 პუნქტის პირობები. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. 6. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

7. 7. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

7. 8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ასლი თითოეული მხარისათვის.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი

შემსრულებელი

შ.პ.ს. "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" (სი-ჯი-სი)
მის.: ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირი #2.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204876081
სს "თიბისი ბანკის" ქვემო ქართლის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE41TB0200000360867289
სს"ლიბერთი ბანკის" რუსთავის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE25LB0113165619221000
"სიჯისის" წარმომადგენელი:

CGC
CENTRAL GEORGIA COMMUNICATIONS Co LTD
204876081
GEORGIA
საქართველო